ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე
მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი
ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ტ. ჩ.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20/03/2019
საჩივრი რეგისტრაციის N036/19
საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ კ. ვ.-ის მიმართ, /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ კ. ვ.-სათვის „დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისცილინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია**

1.1 2019 წლის 20 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ტ. ჩ.-მა და მოითხოვა ადვოკატ კ. ვ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ის ადვოკატ კ. ვ.-ს საერთო მეგობრებისაგან იცნობს. ადვოკატმა იცოდა რა ტ. ჩ.-ის რთული სოციალური მდგომარეობა, შესთავაზა ეთანამშრომლა თავის ნაცნობ - ვ. ტ.-თან, რომელიც დაასაქმებდა და დაეხმარებოდა. ადვოკატმა საჩივრის ავტორს ურჩია ვ. ტ.-თან საქმიანი ურთიერთობის წამოწყება, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ საჩივრის ავტორი მისცემდა გარკვეულ თანხას ვ. ტ.-ს და ამ გზით შევიდოდა ხილით მასთან ერთად ვაჭრობის ბიზნესში. ტ. ჩ.-ის განცხადებით, სწორედ ადვოკატ კ. ვ.-სადმი არსებულმა ნდობამ უბიძგა მას საბოლოოდ დათანხმებულიყო ამ შემოთავაზებაზე, მიუხედავად იმისა, რომ საქმის წარმატებულობის საკითხი საეჭვოდ ეჩვენებოდა და თანხაც (2555 ლარი) გადასცა ვ. ტ.-ს.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ვ. ტ. ატყუებდა პროდუქციის ფასებში და როდესაც დაინტერესდა თუ რაში იხარჯებოდა მის მიერ მიცემული თანხა, აღნიშნული გახდა მათ შორის კონფლიქტის მიზეზი. მომჩივანმა მოითხოვა თანხის დაბრუნება, რაზეც პასუხად უარი მიიღო იმ მიზეზით, რომ ვ. ტ.-ს აღნიშნული თანხა უკვე აღარ გააჩნდა.

1.4 კ. ვ.-მა მას შემდეგ რაც გაიგო მომჩივანის მიერ ვ. ტ.-სთვის მიცემული თანხის თაობაზე, ადვოკატმა თავად მისცა ვ. ტ.-ს 1000 ლარი და მომჩივანს სთხოვა ეთქვა თითქოს თანხა მისგან ისესხა. საჩივრის ავტორმა მასსა და ვ. ტ.-ს შორის მომხდარი კონფლიქტის შესახებ უამბო კ. ვ.-ს. ვ. ტ.-მა ადვოკატს აჩვენა საბუთები (სავარაუდოდ გადახდის ქვითრები) და განუცხადა, რომ ვალები გადაიხადა. ადვოკატთან საუბრის შემდეგ ვ. ტ.-მა კ. ვ.-ს ბოდიში მოუხადა, კ. ვ.-მა კი აუხსნა თუ რა რთულ ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებოდა ვ. ტ.. თუ ვალს არ გადაიხდიდა მას მევალეები წაართმევდნენ იმ ადგილს, რასაც ფლობდა. ადვოკატ კ. ვ.-ის განცხადებით სწორედ ვალის დასაფარად გადასცა მან ვ. ტ.-ს 1000 ლარი. კითხვაზე თუ რატომ აიძულა ემუშავა ვ. ტ.-თან თუ მისთვის ცნობილი იყო, რომ ის თანხას გამოიყენებდა მისთვის უცნობი ადამიანის ვალის დასაფარავად, ადვოკატმა უპასუხა, რომ თავიდან არ იცოდა ვალის შესახებ.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისთვის მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ადვოკატი კ. ვ. იცავდა ვ. ტ.-ს ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე, რა დროსაც საქმის მოგვარებისთვის ცრუ დაპირებებით ვ. ტ.-სგან აიღო სოლიდური თანხა, დაპირებები კი ვერ შეასრულა. აქედან გამომდინარე ვ. ტ.-ს საჩივრის საფუძველზე დააპატიმრეს ადვოკატი კ. ვ.. ამ ფაქტიდან გამომდინარე ადვოკატი კ. ვ. მოვალეა ვ. ტ.-ის წინაშე, რის საფუძველზეც ეს უკანასკნელი მუდმივად ითხოვს ფინანსურ დახმარებას ადვოკატისგან.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა კ. ვ.-მა და ვ. ტ.-მა რამდენიმეჯერ ითხოვეს მისგან ვადა თანხის დასაბრუნებლად, თუმცა უშედეგოდ. ვ. ტ. სთხოვდა ტ. ჩ.-ს არ მიემართა პოლიციისათვის, ვინაიდან მას პირობითი მსჯავრი ჰქონდა დაწესებული. საბოლოოდ მომჩივანმა მიმართა მარნეულის პოლიციას, სადაც ის გამოიკითხა თარჯიმნის დახმარებით, ვინაიდან პოლიციის თანამშრომელმა - ჰ. ა.-მა არ იცოდა რუსული ენა, თარჯიმანმა კი მოკლედ უთარგმნა პოლიციის თანამშრომელს თითქოს მომჩივანმა ფული ასესხა ადვოკატ კ. ვ.-სა და ვ. ტ.-ს.

1.7 საჩივრის ავტორის შეფასებით, კ. ვ.-მა ისარგებლა მისი ნდობით და ვ. ტ.-თან ერთად პრაქტიკულად თაღლითურად მიითვისა მისი კუთვნილი თანხა, რომელიც შეადგენდა 2555 ლარს. მისივე განცხადებით, რომ არა ადვოკატ კ. ვ.-ის მხრიდან მისი დარწმუნება, ის არავითარ შემთხვევაში გადასცემდა ფულს მისთვის უცნობ ადამიანს - ვ. ტ.-ის ვალის დასაფარად. საჩივრის ავტორი ითხოვს ადვოკატის დისციპლინირებას მისგან მოტყუებით თანხის მითვისების გამო.

1.8 2019 წლის 05 მაისს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დააზუსტა მოთხოვნა და განმარტა, რომ მას სურდა ადვოკატის დისციპლინირება და მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2019 წლის 20 მაისს ადვოკატმა კ. ვ.-მა ეთიკის კომისიაში შემოსული ტ. ჩ.-ის საჩივარზე წარმოადგინა წერილობითი განმარტება, რომლის მიხედვით მომჩივანი არ ყოფილა მისი კლიენტი და ახლობლისგან იცნობდა მას.

2.2 ადვოკატისთვის ცნობილი იყო, რომ ტ. ჩ.-ს არ ჰქონდა საცხოვრებელი ადგილი და ადვოკატმა შესთავაზა ემუშავა მარნეულის ბაზარში და ასევე იქვე ეცხოვრა პიროვნებასთან, რომელსაც მოხუცი დედა ჰყავდა სახლში. აღნიშნულ შეთავაზებას საჩივრის ავტორი დათანხმდა და განაცხადა, რომ ადგილი მოეწონა, ცოტა ხნით იმუშავებდა და სიტუაციის შეფასების შემდგომ

გადავიდოდა საცხოვრებლად და სამუშაოდ. მომჩივანის მუშაობის დაწყებიდან რამდენიმე დღეში ადვოკატმა გაიგო, რომ პიროვნებამ, რომელთანაც ტ. ჩ. დასაქმდა - ვ. ტ.-მა საერთო ბიზნესისთვის საჩივრის ავტორისგან ისესხა თანხა დაახლოებით 2000-2500 ლარის ოდენობით. აღნიშნული ადვოკატისათვის ცნობილი გახდა თავად ვ. ტ.-სგან, რომელმაც 1000 ლარის ოდენობის თანხის სესხება სთხოვა კ. ვ.-ს.

2.3 ადვოკატის კითხვაზე თუ რატომ მისცა თანხა მომჩივანმა ვ. ტ.-ს, მან უპასუხა, რომ მოცემულ მომენტში მას თანხა ჰქონდა და უარი ვერ უთხრა. ადვოკატის განცხადებით, ტ. ჩ.-სთვის ვ. ტ.-თან საერთო საქმიანობის დაწყების შემდეგ მას, როგორც ადვოკატს, რჩევა არ მიუცია ტ. ჩ.-სთვის. ადვოკატის მტკიცებით, მას შემდეგ რაც მომჩივანი და ვ. ტ. ვერ შეთანხმდნენ, მომჩივანმა გადაწყვიტა „გამოგონილი“ ფაქტებით მოახდინოს ადვოკატზე ზეგავლენა და ამ გზით დაიბრუნოს გაცემული თანხა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი კ. ვ. არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

3.2 ტ. ჩ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 20 მარტს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2019 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ კ. ვ.-ის მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა კ. ვ.-მა ვ. ტ.-თან შეთანხმებით, თაღლითური გზით გამოსტყუა ტ. ჩ.-ს ფულადი თანხა - 2555 ლარი.

5.2 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად: „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში“. ამავე დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ,,საპროცესო კოლეგიის მიერ ადვოკატის მიმართ დაიწყება დისციპლინური დევნა, თუ საქმეში წარმოდგენილი გარემოებების დადგენის შემთხვევაში, სავარაუდოა ადვოკატის მიერ ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5-მე-9 მუხლებით ან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებით განსაზღვრული ადვოკატის პროფესიული ვალდებულებების დარღვევა.“ კანონის მე-5-მე-9 მუხლები, ისევე როგორც ეთიკის კოდექსის ნორმები, განსაზღვრავენ ადვოკატის ქცევის წესებს კლიენტების, კოლეგების, სასამართლოსა და პროცესის მონაწილე სხვა პირთა

მიმართ მაშინ, როდესაც ადვოკატი ასრულებს პროფესიულ ფუნქციას ან მისი ქცევა გამომდინარეობს მისი სტატუსიდან.

5.3 ტ. ჩ.-ის მიერ საჩივარში მითითებული პრეტენზიები მიმართულია ადვოკატ კ. ვ.-ს მიმართ, რომელიც არის ადვოკატი, თუმცა სავარაუდო დარღვევის შეფასებისათვის განმსაზღვრელია არა ის, რომ მოპასუხე პირი იყოს ადვოკატი, არამედ სავარაუდო დარღვევის დროს იგი უნდა მოქმედებდეს ადვოკატის სახით.

5.4 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ კ. ვ.-სა და ტ. ჩ.-ს შორის, როგორც კლიენტსა და ადვოკატს შორის, ურთიერთობა ვერ დასტურდება. საჩივრის ავტორს დაევალა ადვოკატთან პროფესიული საქმიანობის დასადასტურებლად მტკიცებულების წარმოდგენა, რადგან როგორც მან საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, სავარაუდოდ ჰქონდა მინდობილობა. საჩივრის ავტორს მიეცა გონივრული დრო მტკიცებულებათა წარმოსადგენად, თუმცა მას არაფერი წარმოუდგენია, რაც დაადასტურებდა, რომ ტ. ჩ.-ს უნდა ესარგებლა კ. ვ.-ის საადვოკატო მომსახურებით. ამასთან, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე თავად ტ. ჩ.-ის განმარტებაში გამოიკვეთა, რომ ადვოკატი დაეხმარა ეპოვა ადამიანი, რომელიც დაასაქმებდა და ადვოკატს სხვა როლი ამ ურთიერთობაში არ ჰქონია, არც ვ. ტ.-სთვის თანხის გადაცემაში ყოფილა ჩართული. ადვოკატიც ადასტურებს, რომ ის და ტ. ჩ. იურიდიული მომსახურების გაწევაზე არ შეთანხმებულან.

5.5 იქედან გამომდინარე, რომ კ. ვ.-სა და ტ. ჩ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა არ წარმოშობილა, ხოლო ეთიკის კომისიის კომპეტენციას ცდება შეაფასოს ადვოკატის რჩევით სხვა პირთან დაწყებული ურთიერთობიდან განცდილი მატერიალური ზიანი და დააკისროს აღნიშნული თანხის გადახდა ადვოკატს, ეთიკის კომისია წყვეტს წარმოებას მოცემულ საჩივარზე.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5, მე-6 პუნქტებით, მე-9 მუხლის ,,ა'' ქვეპუნქტით, მე-19, მე-20 მუხლებით, 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N036/19 ადვოკატ კ. ვ.-ის მიმართ /სიითი #/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/